საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

გიორგი გოგინაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი გოგინაშვილი

20 დეკემბერი 2021 წელი ქ.თბილისი

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულების საფუძველზე დაწყებული პროცედურის ფარგლებში, 2021 წლის 20 დეკემბერს ჩატარებული ღია კენჭისყრისას მხარი დავუჭირე კანდიდატ ამირან ძაბუნიძეს შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ამირან ძაბუნიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: დასაბუთება „02“ ფურცლად

პატივისცემით,
გიორგი გოგინაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი გოგინაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ამირან ძაბუნიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატ **ამირან ძაბუნიძის** საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **ამირან ძაბუნიძემ.**

პროცედურაში მონაწილე კანდიდატის შესახებ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენების შედეგების შესაბამისად, ამავე ორგანული კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მოვახდინე კანდიდატის შეფასება.

კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლების ანალიზისა და ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების შედეგად დადასტურებულად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

კანდიდატი ასევე შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების - სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის, წერის უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის და პროფესიული აქტივობის მიხედვით.

კანდიდატთან დაკავშირებით მოძიებული/მოპოვებული ინფორმაციის, ასევე გასაუბრების შედეგად გამოვლენილი მახასიათებლების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, თითოეული მახასიათებლისთვის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით მინიჭებული ქულების შეჯამებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით კანდიდატმა დააგროვა ქულათა მაღალი ოდენობა, რაც მითითებული კრიტერიუმისთვის დადგენილი ქულათა მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით, ქმნის კანდიდატის საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობას და იძლევა კანდიდატის სრულ მხარდაჭერის საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს და ვიღებ გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად მხარი დავუჭირო **ამირან ძაბუნიძის** კანდიდატურას.

გიორგი გოგინაშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი 20.12.2021